JW.ORG™

# რჩევები ენის შემსწავლელთათვის

## 1 ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲔ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

„ჩამოწერე მიზეზები, რის გამოც ახალ ენას სწავლობ. თუ ოდესმე გული გაგიტყდება და იფიქრებ, რომ სწავლას თავი უნდა დაანებო, შეიხსენე ეს მიზეზები“ (სერინა).

რომელი ენის სწავლა გინდა და რატომ?

ენა:

მიზეზ(ებ)ი:



## 2 ᲘᲗᲮᲝᲕᲔ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

„როდესაც ესპანურ ენას ვსწავლობდი, ჯგუფიდან რამდენიმე შევთანხმდით, რომ ენის სწავლაში ერთმანეთს დავეხმარებოდით. ისინი მიყვებოდნენ, რა პრობლემებს ხვდებოდნენ და როგორ ართმევდნენ მათ თავს“ (ჰელენა).

ჩამოწერე მათი სახელები, ვისაც ენის სწავლის დროს დახმარებისთვის მიმართავ.



„უცხო ენაზე თავისუფლად ლაპარაკს ვერ შეძლებ, თუ ამ საქმეში მთელ სულსა და გულს არ ჩადებ“ (ქრისტოფერი).



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania



## 3 გული არ გაიტეხო

„ერთ დღეს შეიძლება გეგონოს, რომ უკვე ენის სპეციალისტი ხარ, მეორე დღეს კი ისეთი გრძნობა დაგეუფლოს, რომ საერთოდ არაფერი იცი“ (ვივიენი).

თუ პატარ-პატარა, ადვილად მიღწევად მიზნებს დაისახავ, გული არ გაგიტყდება. ჩამოწერე რამდენიმე ასეთი მიზანი.

„გული არ გაიტეხო, თუ სხვები შენზე სწრაფად მიიწევენ წინ. ყველანი განსხვავებულები ვართ“ (ტომასი).

## 4 ყოველდღე იმეცადინე

„თუ გულმოდგინედ იმეცადინებ, შედეგს მალე მიაღწევ. მაგრამ, თუ იზარმაცებ, შედეგი დააყოვნებს“ (დანიელა).

დაწერე, დღეში რამდენ დროს დაუთმობ ენის შესწავლას.

| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

# 5 ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ



რა უნდა გააკეთო, რომ გაეცნო იმ ხალხის კულტურას, რომელთა ენასაც სწავლობ?

*„ვცდილობ, მეტი გავიგო იმ ხალხის შესახებ, რომელთა ენასაც ვსწავლობ. ვხედავ, რას როგორ აკეთებენ, ვაგემოვნებ მათ საყვარელ კერძებს და ვუსმენ მათ მუსიკას. უცხო ენის შესწავლა მხოლოდ ენის სწავლას არ გულისხმობს. ეს ბევრად მეტ რამეს მოიცავს“ (ალექსი).*

# 6 ᲔᲬᲕᲘᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ

*„ჩვენ ჩილეს 8 თვით ვესტუმრეთ. იქ ესპანური სწრაფად ავითვისეთ, რადგან ყველგან ეს ენა გვესმოდა“ (ნატაშა).*



მონიშნე ქვეყანა, სადაც წასვლას ისურვებდი.

თუ სხვა ქვეყანაში ვერ გაემგზავრები, რა შეგიძლია გააკეთო, რომ მოხვდე იმ ხალხის გარემოცვაში, რომელთა ენასაც სწავლობ?

„დრო დაუთმე კითხვას, წერას, საუბარსა და მოსმენას. თუ გინდა, რომ თავისუფლად ილაპარაკო, ამ ოთხიდან არც ერთი არ უნდა გამოტოვო“ (ალისონი).



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania